ფილოლოგიურ-იკონოგრაფიული ძიებანი

მარიამ გველესიანი

მზე — ქრისტესა და ჭამთა გამოსახულებების შესახებ აკურას ბაზილიკის აღმოსავლეთ ფასადზე

აკურას „მამა დავითის“ სახელით ცნობილი IX საუკუნის სამნავიანი ბაზილიკა მდებარეობს კახეთში, თელავის რაიონის სოფელ აკურადან ორიოდე კილომეტრის დაშორებით. ეს მონუმენტური, დიდი ზომის ძეგლი აგებულია რიყის ქვისა და აგურისაგან. შუა ნავი გვერდითა ნავებისაგან ოდნავაა გამოყოფილი. მის ზემო ნაწილში, აღმოსავლეთ ფასადზე, რელიეფურად წყობილი შირიმის ქვით გამოყვანილია დიდი ზომის წრე. წრის ცენტრში ორსაფეხურიანი მრგვალი ნიშაა, რომელშიც გამოსახულია წვეროსანი მამაკაცის თავი, ხოლო მინდორზე დიაგონალურად განლაგებულია ოთხი შარავანდიანი თავი (შემორჩენილია ორი ქვემოთა, ზემოთა ორი განირჩევა შარავანდისა და კისრის კონტურების ფრაგმენტთა სახით). წრის მინდორსა და ნიშის საფეხურებს შორის არეებს გასდევს წითელი ფერის რადიალური სხივები; ამავე ფერის კონტურითაა შესრულებული გამოსახულებებიც (სურ. 1).

ძეგლის არქიტექტურა შესწავლილია და გამოქვეყნებულია აკად. გ. ჩუბინაშვილის მიერ წიგნში „კახეთის არქიტექტურა“, სადაც აღნიშნულია რომ აკურას ბაზილიკა უნდა იყოს დავით გარეჯელის სახელობის დედათა ის მონასტერი, რომელიც ისტორიული წყაროების მიხედვით, ცნობილ ქართველ მოღვაწეს ილარიონ ქართველს აუგია მისი დედისა და დისათვის 855 წელს.

ძეგლის აღწერისას ავტორი მიუთითებს მის აღმოსავლეთ ფასადზე ფრაგმენტულად შემორჩენილი წითელი ფერის მოხატულობის შესახებაც[1].

აღნიშნული კომპოზიცია უფრო საფუძვლიანადაა აღწერილი ტ. შევიაკოვას ალბომში „ადრეშუასაუკუნეების ქართული მონუმენტური ფერწერა", სადაც ავტორი მას არქიტექტურის თანადროულად მიიჩნევს[2].

საკულტო ნაგებობების ფასადთა სიუჟეტური მოხატულობით გაფორმება რელიეფურ დეკორთან შედარებით იშვიათ მოვლენას წარმოადგენს საქართველოში და ძირითადად ლოკალიზებულია სვანეთის არქიტექტურულ ძეგლებზე, რომლის ფერწერული სკოლის ტრადიცია გარკვეულწილად განსაზღვრავდა ადგილობრივი საფასადო მოხატულობის ხასიათს[3]. რაც შეეხება აღმოსავლეთ რეგიონს, კერძოდ კახეთს, აქ, სამშენებლო მასალის სპეციფიკიდან გამომდინარე (რიყის ქვა, აგური, შირიმი, ტუფი) ფასადთა რელიეფური დეკორით გაფორმებას არ მიუღია გავრცელება, მით უფრო — საფასადო მოხატულობას. — ამ მხრივ აკურას მამა დავითის ბაზილიკა იშვიათ ძეგლად წარმოგვიდგება.

აღნიშნული კომპოზიცია იკონოგრაფიული თვალსაზრისითაც სრულიად უჩვეულოა. წინამდებარე გამოკვლევა არის ცდა მისი ამ ასპექტით გააზრებისა.

ტ. შევიაკოვა ორსაფეხურიანი ნიშის ცენტრში წარმოდგენილი მამაკაცის თავს მაცხოვრის გამოსახულებად მიიჩნევს, ხოლო დიაგონალურად განლაგებულ გამოსახულებებს — ანგელოზებად. იგი გამოთქვამს ვარაუდს, რომ კომპოზიციის შემომსაზღვრელი რადიალურ სხივებიანი წრე შესაძლოა წარმოადგენდეს ასტრალურ კულტთან დაკავშირებულ სოლარულ ნიშანს, რომლის ფონზე მაცხოვრის გამოსახულება სრულიად უნიკალურს ხდის ამ კომპოზიციას[4].

---

[1] Г. Чубинашвили. Архитектура Кахетии, Тб., 1959, с. 117

[2] Т. Шевякова. Монументальная живопись раннего средневековья Грузии, Тб., 1983, с. 8.

[3]. И. Аладашвили. А. Вольская. Фасадные росписи в верхней Сванети, Ars Georgica, 9, თბ., 1987., с. 95.

[4] Т. Шевякова. დასახ. ნაშრ., იქვე.

20-იან წლებში, გ. ჩუბინაშვილის მიერ ძეგლის შესწავ-ლის პერიოდში, ინტერიერში, დასავლეთის კედელზე იკითხ-ებოდა მოხატულობის კვალი შობისა და მიძინების სცენათა ფრაგმენტების სახით[5], რომელიც დღეისათვის არ შემორჩე-ნილა. ჩვენთვის საინტერესო გამოსახულებაც ძალზე დაზია-ნებულია და ოდნავ განირჩევა ფიგურათა კონტურებისა და მოვარდისფრო-მოცისფრო ლაქების სახით.

კომპოზიციის შესახებ მსჯელობისას, მისი მეტ-ნაკლებად სრული სახით აღდგენისათვის, ვეყრდნობით ტ. შევიაკოვას მიერ ადრეულ წლებში შესრულებულ ასლს გამოსახულები-სას, რომლის სურათი და სქემა მოცემულია მისსავე ალბომში.

წითელი ფერის ენერგიული, მკვეთრი კონტურული მო-ნასმითაა შესრულებული მაცხოვრის თავი მოგრძო სახეს ოვალით, ფართო თვალებით, სწორი ცხვირით. იგი უშარავან-დოა[6]. სახეს ოდნავ შერჩენია ვარდისფერი კლაკნილი ხაზე-ბით პირობითადაა გადმოცემული ტალღოვანი თმა და წვერი, რომლის კონტური ალაგ-ალაგ წყდება, ან ფერწერულ ლაქად ედება და არაგრაფიკულ სახეს იძენს — როგორც ჩანს, გამო-სახულება თავის დროზე უფრო ფერწერული უნდა ყოფილი-ყო, ვიდრე გრაფიკული, თუმცა იგი კონტურული მონასმის სახით წარმოგვიდგება, რაკიღა ფერწერული მოდელირების კვალი, ამჟამად მხოლოდ მკრქალი ნახევარტონებით აღბეჭდი-ლი, საუკუნეებმა წარხოცა.

ტ. შევიაკოვას შენიშვნით, ვარდისფერი უნდა ყოფილი-ყო ანგელოზთა სახეებიც. აქ კონტური უფრო ძალუმია და ექსპრესიული, სქემატური ხასიათი პორტრეტისა ხელს არ

---

[5] Г. Чубинашвили, დასახ. ნაშრ., გვ. 121.

[6] Т. Шевякова, დასახ. ნაშრომი, გვ. 8 ჩვენი ვარაუდით, შესაძლოა მაცხოვრის თავის შემომსაზღვრელი ორსაფეხურიანი ნიშა, მასში რადია-ლურად წყობილი ქვების შემაერთებელი წითელი ხაზებით — სხივებით აზრობრივად შარავანდი იყოს, რამდენადაც მაზდეანური სპარსეთიდან წარ-მოშობილი შარავანდი, შარავანდედი, ქართულ ენაში განიმარტება რო-გორც „მზის სხივი“ (პეტრე იბერიელი, „შრომები“, ს. ენუქაშვი-ლის გამოც., 1961. იხ. ლექსიკ. „სხივი, ბრწყინვალება, მზის შუქი“ (ქეგლ, 1986). „სამეფო გვირგვინი, მსგავსი სხივთა“ (საბა).

უშლის ოსტატს ანგელოზთა ოვალური სახე სწორი ცხვირით, პატარა პირით, მრგვალი წარბებით, ფართო თვალებითა და ხუჭუჭი თმით საოცარი ბავშვური გულწრფელობის ნიშნით აღბეჭდოს.

მთლიანობაში კომპოზიციის მხატვრული გამოსახვის ძირითად საშუალებად გვევლინება შესრულების სიბრტყობრივ-გრაფიკული მანერა, დამახასიათებელი IX—X საუკუნეების ქართული კედლის მხატვრობისათვის (არმაზი —IX ს, თელოვანი —IX ს., საბერეები —IX—X სს., ერწო-სიონი —XI ს., ნესგუნი IX—X სს.).

უძველესი დროიდანვე ადამიანის წარმოსახვა სამყაროზე და მის წესრიგზე ღმერთისა და ღვთაებრივ ძალთა კოსმიურ ფენომენს ეფუძნებოდა, რაც განპირობებული იყო ასტროლოგიის განვითარებით. ასტროლოგია, როგორც მეცნიერება, როგორც წანამძღვარი რელიგიურ-ფილოსოფიური სისტემებისა, იშვა აღმოსავლეთის ქვეყნებში, საიდანაც მან, ბაბილონურ-ქალდეური ასტროლოგიის სახით ჩამოყალიბებულმა, შეაღწია ბერძნულ-რომაულ სამყაროში და დიდი გავლენა მოახდინა მის ცივილიზაციაზე[7].

ძველი აღმოსავლეთის კოსმიური წარმოსახვიდან იღებს სათავეს სამყაროს წარმოდგენა კონცენტრული წრისა და Clipeus-ის[8] სახით, რომლის ცენტრში კოსმოკრატორი — ღმერთი ან მეფე გამოისახება. (როგორც ცნობილია, ამ სქემას ეფუძნება კლასიკურ ქვეყნებში გავრცელებული Imago clipeata). მზის ცნობილი სიმბოლო ეგვიპტეში — ფრთოსანი სოლარული დისკო საგრძნობ ცვლილებას განიცდის აღმოსავლეთში. თუ მას ეგვიპტეში სადა და გლუვი წრის ფორმა აქვს, ასირიულ და აქემენიდურ ძეგლებზე შიდა წრედ და მის შემომსაზღვრელ პლასტიურად შვერილ ბორდიურად

---

[7] F. Cumont. Astrology among Greeks and Romans N. Y. 1960 p. 40.

[8] აღნიშნავს წრიულ ფარს შიდა დისკოს ირგვლივ ბორდიურით. H. P. L'Orange, Studies on the Iconography of Cosmic Kingship, Oslo, 1953, p. 90.

იყოფა და ამგვარი გზით გარდაიქმნება სამყაროს წრის, კოსმოსის სიმბოლოდ, რომელსაც სხვაგვარად, „ღმერთის უკვდავ წრეს“ უწოდებენ[9]. ბოსტონის სახვითი ხელოვნების მუზეუმის ტერაკოტის დისკოებზე — Clipeus-ზე ჰელიოსის სხივოსანი თავია გამოსახული; ქანდაკება ვილა ალბანიდან წარმოგვიდგენს იუპიტერს სამყაროს, კოსმიური წრის ცენტრში, რელიეფი ტრანსიორდანიიდან — კიბელას და სხვა. ხოლო ლუვრის VI საუკუნის დიპტიქონზე მათ უკვე ენაცვლება მაცხოვრის ფიგურა Clipeus-ში, რომლის კოსმიურობა მზის, მთვარისა და ვარსკვლავთა გამოსახულებებითაა მინიშნებული (სურ. 2). კოსმოკრატიული თეოლოგიის ქრისტიანული რეინტერპრეტაცია ეფუძნება მაცხოვრის სიტყვებს მათეს სახარებიდან: „მომეცა მე ყოველი ხელმწიფებაჲ ცათა შინა და ქუეყანასა ზედა“ (28. 18).

მაცხოვრის, როგორც კოსმოკრატორის, ცათა მეუფის სახით განსაზღვრება გვხვდება „უძველეს იადგარში“, იერუსალიმური პერიოდის ჰიმნოგრაფიულ ძეგლში[10].

„გალობით გადიდებდეთ შენ, ღვთისმშობელო, რომელმან ცათა მეუფეჲ ხორციელად იტვირთე და უშევ სოფელსა სამართლისა მზეჲ“ (435.2).

„გაქებთ შენ, ქრისტე, რომელი ჰერიათა მიერ ჯუარს დაემშჯუალე და განეღო ლახუართა უხრწნელი გუერდი შენი, საფლავსა დაიდევ და ასდეგ ცათა მეუფეჲ“ (508.5).

„რომელი უფალი ხარ ცათაი და ქუეყანისაი და შემოქმედი საუკუნეთა“ (297.5).

ზემოთქმულიდან გამომდინარე ვფიქრობთ, როგორც სტრუქტურული, ასევე შინაარსობრივი თვალსაზრისით სამყაროს წრის, კოსმოსის სიმბოლოდ გაიაზრება ჩვენს ძეგლზე რელიეფური ლილვით შემოსაზღვრული ორმაგი წრე, რომლის ცენტრში ტრადიციულად წარმოდგენილი ფიგურა (ამ შემთხვევაში მაცხოვარი) დაკავშირებულია რადიალურად გამოსახულ სხივებთან — სოლარულ ნიშანთან.

---

[9] H. P. L'Orange, დასახ. ნაშრომი. გვ. 74—96.

[10] უძველესი იადგარი, თბ., 1980.

ძველ მსოფლიოში ფართედ იყო გავრცელებული ...ქალ-დეური ასტროლოგიიდან მომდინარე მზის კულტი, რომლის დეიფიკაციამ განსაკუთრებით ჰპოვა ნიადაგი რომის იმპერიაში. ეგვიპტელთათვის და ბაბილონელთათვის მზე სამეფო მნათობი იყო, რომში კი Sol Oriéns, Sol Invictus იმპერატორის მესიანიზმის სიმბოლოდ იქცა. იმპერატორი ხილული ხატია დედამიწაზე მზისა, მასავით უძლეველი და მარადიული (Invictus, Aeternus)[11].

ევსებიუსის გადმოცემით, მზიური ბუნების იყო თვით ქრისტიანი იმპერატორი კონსტანტინეც. რომაელ იმპერატორთა კავშირი მზის კულტთან განსაკუთრებით ნათლად აისახა ნუმიზმატიკურ მასალაში. ადრიანეს მონეტაზე (117 წ.) გამოსახულია სხივოსან გვირგვინიანი იმპერატორი, რომლის ქვეშ წარწერაა Sol Oriens (სურ. 3).

აქემენიდურ საბეჭდავებზე ხშირად ვხვდებით შემდეგ სცენას: ზემო რეგისტრში სამყაროს კოსმიურ წრეში გამოსახულია აჰურა მაზდა, ქვემოთ — მიწიერი წინასახე უზენაესი ღვთაებისა — დისკოში წარმოდგენილი მეფე[12] (სურ. 4).

ქრისტიანობის გავრცელების პირველსავე წლებში ხდება შერწყმა მზის კულტისა ქრისტესთან (Oriens Christi — უწოდებს ტერტულიანე, III საუკუნის საეკლესიო მამა), რის გამოც ჩნდება ერთგვარი პარალელიზმი უნივერსალური მიწიერი მონარქიისა (იმპერატორი) და უნივერსალური ზეციური მონოთეიზმის (ქრისტე) სახით[13].

თავისთავად ტერმინი Oriens, როგორც ქრისტეს ერთ-ერთი განმსაზღვრელი ეპითეტი, მომდინარეობს არა იმპერატორთა რომაული კულტიდან, არამედ ახლო აღმოსავლეთიდან, სადაც სოლარულ თეოლოგიას, როგორც აღვნიშნეთ, მტკიცე ნიადაგი ჰქონდა. ამასთან, ძველი აღთქმის წიგნების, — ფსალმუნთა თუ წინასწარმეტყველთა ენა, როგორც

---

[11] H. Frankfort. Kingship and the Gods, Chicago, 1969, p. 148; აგრეთვე A. Alföldi. The Conversion of Constantine and Pagan Rome, Oxford, 1948, p 5.

[12] H. P. L'Orange, დასახ. ნაშრ., გვ. 93. ფიგ. b—c.

[13] ეს უკანასკნელი საფუძვლად ედება ქრისტე-კოსმოკრატორის იდეას.

1

The Cosmic Clipeus and the Solar Imago Clipeata



Fig. 69. Detail from a diptych, Louvre.

2

3

4



5

6



9

10

11



12



13

14

საკულტო-პოეტური ენა, მდიდარია სოლარული მეტაფორებით, რაც ხელს უწყობდა მაცხოვრის ღვთაებრივ-ადამიანური ბუნების გახსნას.

ზაქარიას წინასწარმეტყველება გვაუწყებს თეოფანიას Oriens-ისას: „აცნი ნიშთმჴვრეტელნი არიან ამისათვის, აჰა, მე მოვიყვანო მონაჲ ჩემი აღმოსავალით“ (3:8) და „ამათ იტყვის უფალი. ყოვლისა მპყრობელი: აჰა მამაკაცი, — აღმოსავალი სახელი მისი და ქუეშე კერძო მისსა აღმოხდეს და აღაშენოს სახლი უფლისაჲ“ (6:12)[14].

ზაქარიას ამ ერთგვარად იდუმალებით მოსილ, მისტერიულ წინასწარმეტყველებას ეხმაურება მახარებელი ლუკა: „მოწყალებითა წყალობითა ღმრთისა ჩვენისათა, რომელთა მიერ მომხედნა ჩუენ აღმოსავალმან მაღლით“ (1:78).

ლუკას ეს სიტყვები პოეტურად გაჟღერდა ქართულ ჰიმნოგრაფიაში:

„აღმოსავალით მაღლით ვიხილეთ ქრისტეჲ
ბრწყინვალეჲ მსხდომარეთა ბნელსა შინა დღეს
და აჩრდილითა სიკუდილისათა მზეჲ იგი
სიმართლისაჲ“ (იოანე მტბევარი)[15].

მეორე მხრივ, ქრისტიანულ სოლარულ თეოლოგიას საფუძვლად ედება მალაქიას წინასწარმეტყველება: „და აღმოგიბრწყინდეს თქუენ მოშიშთა სახელისა ჩემისათა მზე სიმართლისა და კურნებაჲ შორის ფრთეთა მისთა“ (4:2).

ადრექრისტიანული საუკუნეებიდანვე ორივე ეს პროფეტული ტერმინი Oriens და Sol Iustitae (მზე სიმართლისა) ქრისტესთან მიმართებაში თანაბარ ძალმოსილებას იძენს. (საცნაურია, თუ როგორ გაცხადდა ეს მომენტი იოანე მტბევარის ზემოთმოხმობილ სტრიქონში).

ქრისტიანობის გავრცელებასთან ერთად — II საუკუნის მიწურულიდან, კლიმენტი ალექსანდრიელისა და III ს-ში ორიგენესა და ნეოპლატონიზმის სახით (რომელიც ძირითადი

---

14 ზოგი მკვლევარი „აღმოსავალის“ ქვეშ გულისხმობს ღმერთს, სხვანი—მესიას. Толковая Библия (Пет. 1911 — 1913) — მას განმარტავს, როგორც ზოგადად, მესიანურ ხსნას — იხ. Т. 3, с. 131.

15 პ ა ვ ლ ე ი ნ გ ო რ ო ყ ვ ა. ძველი ქართული სასულიერო პოეზია, ტფილისი, 1913, XII.

წყარო იყო პატრისტიკული თეოლოგიისა). ქრისტიანი ღვთის-მეტყველნი, ბერძნული ხელოვნების ნიმუშებითა და კლასიკური ფილოსოფიით შთაგონებულნი, ისწრაფვოდნენ ქრისტიანობის სულიერი საწყისისა და ანტიკურობის რაციონალური ფილოსოფიის ჰარმონიზაციისაკენ და ალეგორიისა და ანალოგიის გზით ახალი აღთქმის კავშირისაკენ ძველი აღთქმის წინასწარმეტყველებასთან. ამდენად, ალექსანდრიის ქრისტიანულ ლიტერატურასა და ფილოსოფიაში განვითარდა სკოლა თეოლოგიისა, რომელიც ეფუძნებოდა მისტიციზმს, ალეგორიასა და სიმბოლიზმს, რაც თავის მხრივ, საფუძვლად ედება შუასაუკუნეების რელიგიურ აზროვნებას[16].

ვნახოთ, როგორაა განმარტებული „აღმოსავალი" (Oriens), როგორც სოლარული მეტაფორა ალექსანდრიის სკოლის დიდ წარმომადგენელთან ფილონ ალექსანდრიელთან: „უცნაურია რომ კაცს ეწოდოს „აღმოსავალი", მაგრამ თუ ვიგულისხმებთ, რომ ლაპარაკია არამატერიალურ, უსხეულო კაცზე, რომელიც იგივე ღმრთის ხატია, მაშინ ეს სახელი ყველაზე შესაფერია მისთვის, რამეთუ ყოვლისშემოქმედმა აღმოიყვანა იგი როგორც ძეგ თვისი, რომელსაც უწოდა „მხოლოდშობილი"[17].

მანვე მოახდინა „მხოლოდშობილის" იდენტიფიცირება ლოგოსთან, რადგანაც ლოგოსი, მისივე სიტყვებით, არ ჩადის, არც ქრება, არამედ გულისხმობს მარადაღმოსვლას და როგორც ამომავალი მზე ნათლით მოსავს ყოველსავე ბნელს, ასევე ანათებს ლოგოსი ადამიანის სულს და მიმოფანტავს მის ჩრდილოვან მხარეებს.

---

16 ქრისტიან თეოლოგთა ამ მიმართულების შესაბამისად, მხატვარი საშეტყველოდ იღებდა ელინური ხელოვნების მოდელს და დიდი სიფრთხილით გამარტივებული სიმბოლიკის ენით სახიერ ქმნიდა ახალი სარწმუნოების სულიერ პლასტებს. ქრისტიანული ღვთისმეტყველების აკვნად მიჩნეულ ხმელთაშუაზღვის სამყაროს დიდ ელინისტურ ცენტრებში — ალექსანდრიასა, ანტიოქიასა და ეფესოში განვითარდა თავის ფორმებით კლასიკურ ნიმუშებზე აღმოცენებული უაღრესად სიმბოლური ხასიათის ხელოვნება. E. Smith, Early Christian Iconography and a School of Ivory Carves in Province, London, 1918, p. 160.

17 E. Kantorowicz. Oriens Augusti-Lever du Roi. Dumbarton Oaks papers, № 17, p. 137.

ამ თვალსაზრისით აღმოსავალი, აღმოსვლა (Oriens) ლოგოსისა ალეგორიულ მნიშვნელობას იძენს — ესაა მუდმივ შობა და მუდმივ აღმოსვლა ჭეშმარიტი ლოგოსისა ადამიანის სულში. ფილონ ალექსანდრიელის მიერ „მზის აღმოსვლის" სპირიტუალიზაციამ შეამზადა ნიადაგი, სხვა საკითხებთან ერთად, ალექსანდრიის ქრისტიან ეგზეგეტთა შრომებისათვის..

მოძღვრებას ღვთის სიტყვის, ლოგოსის, როგორც სულიერი მზის შესახებ ღრმა ფესვები აქვს ჯერ კიდევ ქრისტიანობამდელ რელიგიებში. მაგალითად, ზენდ-ავესტაში აჰურა-მაზდას იგივე ლოგოსს, ღვთის სიტყვას უწოდებენ, რომლის შექმნილია მზე, ანუ ხატი აჰურა მაზდასი[19]; ეგვიპტეში რა იგივე ზეციური ლოგოსია. ფილონის თქმით, მოსე ღვთაებრივ ლოგოსს მზეს უწოდებდა, რადგანაც იგი ფიზიკური მზის პირველსახეა სულიერი არსის მნიშვნელობით. ამრიგად, ლოგოსი იგივე სულიერი მზეა.

„არვინ წამებულა ფიზიკური მზისათვის, მაშინ როცა მრავალი ეწამა ქრისტესათვის, ლოგოსისათვის, რადგან მზეზე უფრო ცეცხლოვანი და სხივოსანი არის ლოგოსი ჭეშმარიტებისა და სიბრძნისა, რომელიც იძირება გულისა და გონების სიღრმეში" — წერს იუსტინე მოწამე [II ს.] და ასკვნის სულიერი მზის უპირატესობას ფიზიკურ მზესთან, იმოწმებს რა ფსალმუნის სიტყვებს:

„უწინარეს მზესა ეგოს სახელი მისი" (71:17)

---

19 ავესტაში ამომავალი, ძლევამოსილი ღმერთის სახელია ვერეთრაგნა, რომელიც იგივე მზე-ღვთაებაა, ირანში ყველაზე პოპულარული ღვთაება. ამომავალი მზის კულტი აქტივიზირებული იყო მოგვთა მიერ, რომლებიც მთიდან უკვრეტდნენ ამომავალი ცისკრის ვარსკვლავს, რათა ეუწყებინათ ხალხისათვის მოსვლა განმაახლებელი ძალისა. ეს ძველი სოლარული კონცეფცია აითვისა ზოროასტრიზმმა, რომელმაც იგი მესიის, მხსნელის ებრაულ ცნებას დაუკავშირა, ხოლო ქრისტიანობამ ეს მოვლენა — მოგვთა თვალყურის დევნება ვარსკვლავზე, რომელსაც მეუფის მოსვლა უნდა ეუწყებინა, განასახოვნა ბეთლეემის ვარსკვლავში, რომლითაც ასევე მოგვთა პირით ეუწყა ხალხს ქრისტიანთა მხსნელის, მესიის მოვლინება, („იხილეს რა მოგვთა მათ ვარსკვლავი ბრწყინვალეი, მაუწყებელი მზისა სიმართლისა") — Phylys Ackerman, A Survey of Persian Art, London—New York, 1938, p. 875.

აქვე გვინდა მოვიყვანოთ რამდენიმე ნიმუში ქართული ჰიმნოგრაფიიდან: „დიდებაი პირველ მზისა შობილისა ძესა და ჩვილად ხილულთა ჩოვენთვის“ (იოანე მტბევარი (ს. ჰ.).

„სიტყვაო მამისაო. პირველ მზისა შობილო, აღსასრულთა ჟამთასა იშევ ქალწულისაგან“... (იქვე, 20).

„ნათელი სალმრთოდ, უპირატეს მზისა შობილი, ცეცხლი უსხეულოდ, გამოჩნდა ხორცითა დღეს“ (205).

ამას გარდა, Oriens-ს წმინდა მამანი განმარტავდნენ როგორც აღმოსავლეთს, გეოგრაფიულ Orient-საც და ,ამდენად, ზაქარიას და ლუკას სიტყვათა გააზრება აღმოსავლეთის მიმართულებით, განაპირობებდა მლოცველთა ორიენტაციას აღმოსავლეთისაკენ. ამ თვალსაზრისით ნიშანდობლივია აკურას კომპოზიციის აღმოსავლეთ ფასადზე წარმოდგენა. (ზოგადად კი, ქრისტიანული ეკლესიის მიმართება აღმოსავლეთისაკენ).

მზე, როგორც ხატი ქრისტესი, სულიერი არსის მნიშვნელობით, არის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დებულება ეზოთერული ქრისტიანობისა. საყოველთაოდ ცნობილია, რომ ეზოთერული, შინაგანი საიდუმლოებანი შეადგენდნენ ორთოდოქსული რელიგიის საფუძველს[20].

დიონისე არეოპაგელი თავის ნაშრომში „სალმრთოთა სახელთათვის“ მზე-მნათობს უწოდებს ხატს ღვთისას, ხოლო ქრისტე, პავლე მოციქულის განმარტებით, „არის „ხატი ღმრთისა უხილავისა“ (1 კორ. 2,4).

„რაი-მე ვინ თქვას მისთვისვე და მის ზედავე ხილულთა მზისა შარავანდედთათვის?. რამეთუ სახიერებისაგან არს ნათელი და სახე არს სახიერებისაი... რომელმან მზისა შორის, ვითარცა სახისა შორის, აჩვენა პირმშოი ხატი თვისი“ (4,4)[21].

ქრისტიანობის გავრცელების პირველ წლებში ქრისტეს კავშირი მზესთან ნათლად გაცხადებული ფაქტი იყო, შემდგომ კი ეს ყოველივე დაშრეოდა ეზოთერულ ქრისტიანობაში —

---

20 მ. გიგინეიშვილი, მზიანი ღამე ვეფხისტყაოსნისა და ქრისტიანული მსოფლმხედველობის ზოგი საკითხი. ძველი ქართული მწერლობის საკითხები, III, 1963, გვ. 40.

21 პეტრე იბერიელი, ფსევდო-დიონისე არეოპაგელი, შრომები, 1961, გვ. 34.

ამ კავშირების შესახებ პირდაპირ საუბარს ორთოდოქსული ღვთისმეტყველება თავს არიდებდა, რადგანაც არსებობდა საფრთხე სოლარული წარმართობის აღორძინებისა ხალხის ფართე ფენებში.

IV საუკუნიდან წმინდა მამათა მიერ ხდება ფორმირება ქრისტიანული სოლარული თეოლოგიისა, რომელიც მიმართული იყო Sol Invictus-ის წარმართული სოლარული ჰენოთეიზმის[22] წინააღმდეგ. ქრისტიანული რელიგიის ცნობილი მკვლევარი ა. დრევსი აღნიშნავს, რომ ჯერ კიდევ V საუკუნეში არა მარტო მწვალებელნი, არამედ ჭეშმარიტი მორწმუნენიც მუხლს იდრეკდნენ ჰორიზონტზე ამომავალი მზის წინაშე და ლოცულობდნენ „შეგვიწყალე"[23]. ვნახოთ, რას წერს IV—V საუკუნეების დიდი საეკლესიო მამა, ნეტარი ავგუსტინე მზის ბუნებისა და ქრისტიანულ სამყაროში მისი ადგილის შესახებ: „ქრისტე არის მზე სიმართლისა, მაგრამ არა ის მზე, რომელსაც წარმართნი და მანიქეველნი მსახურებენ და თვით ცოდვილნიც კი ჰვრეტენ, არამედ მზე ჭეშმარიტი, რომელიც განანათლებს კაცის ბუნებას"[24]. ეს მზე ქართულ სინამდვილეში სწორედ ის „მზე ჭეშმარიტია", რომელმაც დაუბრუნა მირიანს ნათელი და რომლის ხილვითაც „მოერთო ერი განბნეული" — გავიხსენოთ ეპიზოდი „ნინოს ცხოვრებიდან": როდესაც თხოთის მთაზე ნადირობისას მირიანს მზე დაუბნელდება, იგი ამაოდ ეეედრება საშველად არმაზსა და ზადენს — მხოლოდ ნინოს ღმერთის მეშვეობით უნათლდება მას ბნელი. პროფ. რ. სირაძეს მართებულად მიაჩნია ეს ეპიზოდი კონვენციურ მოტივად, რომელშიც განქიქებულია მზის ღმერთობა. ჩვენის მხრივ დავძენდით, რომ ეს ეპიზოდი სულიერი მზის (ქრისტიანობა) ფიზიკურ მზეზე (წარმართობა) ძლევის ზემოთ მოხმობილი ფსალმუნისეული სიტყვების (71:17) ის-

---

22 ჰენოთეიზმი — ერთი ღმერთის თაყვანისცემა სხვა ღმერთების უარყოფის გარეშე.

23 А. Д р е в с. Происхождение христианства из Гностицизма. М., 1930, с. 78.

24 G. H a n f m a n. The Season Sarcophagus in Dumbarton Oaks, Cambrige, 1951, vol. I. p. 201.

25 რ. ს ი რ ა ძ ე, ქართული აგიოგრაფია, თბ., 1978, გვ. 92.

ტორიულ პლანში განსახოვნებაა — ის, ვისი სახელიც „უწინარეს მზესა აგებულია". ხდება მირიანის ინიციაციამქმნელი... უშუალოდ ფიზიკური მზის დაბნელების შემდგომ. საცნაურია, რომ მაცხოვარი, ზაქარიას და ლუკას სიტყვების დარად, აქაც „აღმოსავალის" ლოკალითაა მონიშნული: „გამობრწყინდა მზე... (მირიანმა) განიპყრნა ხელი ა ღ მ ო ს ა ვ ა ლ ი თ (ხაზი ჩვენია, მ. გ.) ცად მიმართ და თქუა: „შენ ხარ ღმერთი ყოველთა ზედა ღმერთთა". (ქ. კ. 1955 გვ. 110). ასევე: „ხოლო წმინდა ნინო ასწავებდა და ეტყოდა მსწრაფლ თაყუანისცემად ა ღ მ ო ს ა ვ ა ლ ი თ და აღსარებად ქრისტეს ძისა ღმრთისა" (იქვე). ქრისტიანული სოლარული თეოლოგიის აღმავლობისა და წარმართული სოლარიზმის დაცემის ხანა — IV ს.[26] თვალსაჩინოს ხდის ამ მოვლენისა და მირიანის მოქცევის ქრონოლოგიურ პარალელიზმსაც, რაც, ცხადია, არ უნდა იყოს შემთხვევითი, რამდენადაც მოქცევის ეპიზოდი სხვა არაფერია, თუ არა ამ პროცესის სიმბოლურ-ხატოვანი ასახვა.

ადრეშუასაუკუნეების პატრისტიკა ხშირად იხსენიებს ქრისტე-ჰელიოსს, როგორც „მეუფეს წელიწადისას"; მკვლევართა აზრით, სახარებაში ქრისტესა და თორმეტი მოციქულის ქმედებები შეესაბამებიან მზის გზას თორმეტ ზოდიაქოში, რამდენადაც ქრისტე არის მზის სული, ხოლო მოციქულები ზოდიაქურ სულებს განასახიერებენ[27]. IX ს. ბიზანტიური ხელოვნების ძეგლი — პტოლემაიოსის სახელით ცნობილი

---

[26] G. H a n f m a n: დასახ. ნაშრ., გვ. 256.

[27] H. B e k h, Die Kosmiche Rhythmus in Markus- Evangelium, Stutt. 1960, p. 5—8-; T. D a n i é l o u, Les douze Apotres et le Zodiaque, Vigiliae Christianae XII (1959). 14—21; XIII (1959) 14—21; ხოლო იუდაისტურ ხელოვნებაში, რომელიც ერთგვარ შემავსებელ რგოლად შეგვიძლია წარმოვიდგინოთ ბერძნულ-რომაული სამყაროს კლასიკურ და ბიზანტიისა და დასავლეთის შუა საუკუნეთა საკრალურ ხელოვნებას შორის, ზოდიაქოები სიმბოლურად ისრაელის თორმეტივე ტომს გამოსახავდნენ, რაც თავის დროზე მეტად გავრცელებული ლიტერატურული თემა გახლდათ. პალესტინის ისფია ქერაზას სინაგოგის მოზაიკაზე თორმეტი ტომის თორმეტი მედალიონია (ეს ბიბლიური თემა XX ს-ში მარკ შაგალმა განაახლა იერუსალიმის სინაგოგის სარკმელებზე). — ეერარ დე შამპო, „სიმბოლოთა სამყარო", თარგმანი ნინო გოგიჩაიშვილისა, „რელიგია", 1993, 6—7, გვ. 66.

ხელნაწერის მინიატურა ვატიკანის ბიბლიოთეკიდან წარმოგვიდგენს კონცენტრული წრის ცენტრში გამოსახულ ოთხრაშიან ეტლში მდგომ მზე — ჰელიოსს სფეროთი ხელში, მას ორმეტი ადამიანის ფიგურა არტყია გარს, რომელთაგან თითოეულს ზოდიაქოს თითო ნიშანი შეესაბამება[28] (სურ. 5).

შემთხვევითი როდია, რომ ქრისტეს შობა მზის ზამთრულ ნაბუნიობას მოსდევს, ხოლო აღდგომის დღედ კვირაა მიჩნეული, როგორც მზის დღე. (აქვე უნდა გავიხსენოთ მთიელთა უძველესი წარმართული ღვთაების კვირიას კულტი, რომელიც, მკვლევართა აზრით, იგივე ქრისტე, ძე ღმერთია)[29].

საერთოდ ღვთაების სინათლე. ნათელ არსებად, მზედ წარმოდგენა ცნობილი მეტაფორაა ღვთისმეტყველებაში[30]. ქრისტიანული რელიგია გვასწავლის, რომ ღმერთის ბრწყინვალება არს ვითარცა მზის ნათელი (გამოცხ., 16; 10,1; ეზეკ. 1,27), „უფალი ღმერთი მზე არს" (ფსალმ. 83. 12) „ღმერთი ნათელ არს" (იოან. 1.5) „ნათელი მოვიდა სოფლად" (იოან. 3. 9). საეკლესიო ჰიმნოგრაფიაში ხშირად ვხვდებით განმარტებებს ღვთაებისას „მზე გონიერი", „ნათელი სამბწყინვალე", „მზე ჭეშმარიტებისა", „მზე სიმართლისა", „მზე დაუვალი" და სხვა. უამრავი ნიმუშის მოტანა შეიძლება ქართული ჰიმნოგრაფიიდან, გავეცნოთ რამდენიმეს:

„აღმობრწყინდა მზეი სიმართლისაი და განანათლნა კიდენი ქუეყანისანი აღდგომისა მისისა მადლითა" (იოანე მინჩხი, ს. ჰ. V).

„გიხაროდეს, შენ, აბრაჰამ, პირველ მამამთავარო... რამეთუ თესლისაგან შენისა აღმოცენდა დღეს მზეი ბრწყინვალეი, რომელი ეგულვებოდა კაცთა ხსნისათვის"[31].

---

28. Е. Л и п щ и ц. Очерки истории Византинского общества и культуры, Л., 1961, с. 389; В. Л а з а р е в, История Византинской живописи, Т. т. I, с. 67, 293; K. W e i t z m a n, Die Byzantinische Buchmalerei, s, I f.

29 ნ. ლ ე კ ი ა შ ვ ი ლ ი, ქართველ მთიელთა რელიგიური გადმონაშთები, „მაცნე", 1985.

30 კ. კ ე კ ე ლ ი ძ ე, ეტიუდები, ტ. VIII, 1981, გვ. 192.

31 კ. კ ე კ ე ლ ი ძ ე. კიმენი. 1918, ტ. 1, გვ. 11.

„დაუღამებელი მზეი ქალწულისა საშოსაგან გამობრწყინვებად მოვალს. რაითა განანათლნეს მან დაბნელებულნი“ (იოანე მტბევარი, ს. ბ. 54).

„ნათელი ჭეშმარიტი, სიმართლისა მზეი, რომელი მოივლინა ზეცით მამისა მიერ, იშვა წმიდისაგან ქალწულისა, განანათლნა მყოფნი ბნელისანი“ (ჭილ-ეტრატის იადგარი, 1977, 34).

„საფლავთ აღმობრწყინდი მზეი სიმართლისაი“ (მიქაელ მოდრეკილი ს. ბ. 515).

VIII ს. აგიოგრაფიული ძეგლი — იოანე საბანისძის „აბო ტფილელის მარტვილობა“ გვაცნობს ღვთის სიმბოლურ სახელებს, რომელთაგან ერთ-ერთს — „მზე სიმართლისას“ საბანისძე წინასწარმეტყველ მალაქიას სიტყვებით განმარტავს[32].

ქრისტიანულ რელიგიასთან ზიარება ქართულ ენაში გააზრებულია როგორც მონათვლა, ზიარება ნათელთან (კ. კეკელიძე, რ. სირაძე). სამეცნიერო ლიტერატურაში აღიარებულია, რომ ქრისტიანული ნათლობა ჩაენაცვლა მზესთან ინიციაციის ძველთაძველ მოტივებს[33]. მათი გამოძახილია „ქართლის ცხოვრებაში“ პოეტურ მარგალიტებად გაბნეული ფარნავაზის სიზმარი — სულიერი მზის ხილვა ფარნავაზის მიერ. აგრეთვე „ქუაბში“ საუნჯის პოვნა, რაც სიმბოლოა მისტერიალურ, ეზოთერულ სიბრძნესთან ზიარებისა, ამას მოსდევს მირიანის ქრისტიანული ინიციაცია თხოთის მთაზე — ფიზიკური მზის დაბნელება და ხილვა სულიერი მზისა, ქრისტე — მზისა, რომლის ნათელი საცნაური ხდება შინაგანი სულიერი ნათლის წყალობით.

მზე — ქრისტეს სიმბოლიკა აირეკლა არა მარტო საღვთისმეტყველო თხზულებებსა და ლიტურგიულ პოეზიაში, არამედ იკონოგრაფიაშიც. რომში, წმ. პეტრეს ბაზილიკის

---

32 ი. ა ბ უ ლ ა ძ ე, შრომები III 1982, გვ. 235. კ. კეკელიძე ამ სიმბოლოთა წყაროდ მიიჩნევს ფსევდო დიონისე არეოპაგელის თხზულებას „საღმრთოთა სახელთათვის“ — ადრინდელი ფეოდალური ქართული ლიტერატურა, თბ. 1935, ნაკვეთი 1, გვ. 73.

33 ც. ი ნ წ კ ი რ ვ ე ლ ი, საქართველოს ეროვნული დროშის ფერთა სიმბოლიზმისათვის „განთიადი“ № 6 გვ. 123.

ქვეშ, ჩვენი საუკუნის 50-იან წლებში აღმოჩენილ იქნა იულიუსის მავზოლეუმის მოზაიკა — გამოსახულებისა და შესრულების მანერის თვალსაზრისით, ერთ-ერთი უადრესი ქრისტიანული ხანის (III ს.) ძეგლი. მავზოლეუმის პლაფონის ოქროს ფონზე. ვაზის ლერწსა და ფოთლებშუა გამოსახულია უწვერო მაცაკაცის ფიგურა ტუნიკითა და მოსასხამით, შარავანდით, რომლის სხივები ჯვრის ფორმას ქმნიან. მამაკაცი დგას ოთხრაშიან ეტლში (ოთხი სახარების სიმბოლო), მარცხენა ხელით უპყრია სფერო (სურ. 6) (შდრ. პტოლემაოსის ილუსტრაციის ცენტრალურ ფიგურას). იგი სხვა არვინაა, თუ არა ქრისტე — ჰელიოსი, „ახალი და ჰეშმარიტი მზე", „მზე სიმართლისა"[34]. სიმბოლური ენა ამ გამოსახულებისა ნასესხებია წარმართული ხანის ნიმუშებიდან — გავიხსენოთ ანტიურ ხელოვნებაში გავრცელებული მზე — ღვთაების გამოსახულებები ოთხრაშიან ეტლ — კვადრიგაში.

პარიზის ნაციონალურ ბიბლიოთეკაში დაცულ, „Melothesia"-ს (ზოდიაქოს კაცი) სახელით ცნობილი XI ს. მინიატურაზე (რომელიც ბიზანტიური სქემის ასლადაა მიჩნეული), წარმოდგენილია ქრისტე — ჰელიოსი ზოდიაქოს ნიშნებიან წრეში, ხოლო კუთხეებში, დიაგონალურად, მედალიონებით შემოსაზღვრული ოთხი ფიგურა განასახიერებს წელიწადის დროებს[35] (სურ. 7).

აქვე გვინდა წარმოვადგინოთ ქრისტე — Oriéns-ის გამოსახულეობები, რომლებიც ამ ასპექტით შესწავლილ იქნა პროფ. ე. კანტოროვიჩის მიერ.

ეაა ილუსტრაცია ზაქარიას წინასწარმეტყველებისა, რომელსაც მეცნიერი იმოწმებს, როგორც იკონოგრაფიულ ილუსტრაციას ქრისტე Oriens-ისას: პარიზის XI ს. ბერძნული სახა-

---

[34] J. Toynbee, J. Perkins. The Shrine of st. Peter and the Vatican excavations, London, 1956, p. 72.

[35] E. Kantorowicz, დასახ. ნაშრ., გვ. 135; აგრეთვე Brendel, Die Antike XII. 280; Hugo Butchal, The Miniatures of the Paris Psalter (London, 1938, pl. XXVII, fig. 87): H. Bober, Journal of the Warburg and Courtauld Institutes, XI (1948), 14, note, 3, pl. III b.

რების მინიატურაში ზაქარია აუწყებს ხალხს ეპიფანიას, გამოცხადებას Oriéns ex alto (აღმოსავლისა მაღლით), რომელიც წარმოდგენილია მზის დისკოში ჩაწერილი მაცხოვრის ნახევარფიგურის სახით (სურ. 8)[36] და რომლისკენაც წინასწარმეტყველი მიუთითებს გაწვდილი მარჯვენა ხელით. იგივე თემის ვარიაციას ვხვდებით ვატიკანის ბერძნულ ფსალმუნში: ზაქარია მუხლმოდრეკილი ლოცულობს. კლდის თავზე, ცის კამარის ქვეშ მოჩანს ამომავალი მზის დისკო ქრისტეს ბიუსტით (სურ. 9). ეს გამოსახულება, რომელიც ხშირად გვხვდება შუასაუკუნეების სახარებისა თუ ფსალმუნთა ილუსტრაციებში, მეცნიერთა მოსაზრებით, ადრექრისტიანული ხანიდან უნდა იღებდეს სათავეს[37].

მაცხოვრის ბიუსტი ასევე მზის დისკოშია წარმოდგენილი IX ს, ცნობილ ბიზანტიურ ძეგლზე — ხლუდოვის ფსალმუნში, სადაც ქრისტე-ჰელიოსი დაკავშირებულია წინასწარმეტყველ ამბაკუმთან, რომელსაც, ნიშნად ჩვენებისა, მაცხოვრისაკენ აღუპყრია მარჯვენა ხელი (სურ. 10)[38].

მოხმობილი მაგალითებით, საღმრთო წერილში გახმიანებული ალეგორია „აღმოსავლისა", (მზე-ქრისტესი) იკონოგრაფიულად განსახოვნდა მზის დისკოში, მედალიონში ჩაწერილი მაცხოვრის ნახევარფიგურის (ბიუსტის) სახით.

ქართლში, სოფ. თელოვანის ჯვარპატიოსნის ეკლესიის მოხატულობაში (IX ს.) საკურთხევლის მეორე რეგისტრზე გამოსახულია სცენა, რომლის ცენტრში, სარკმლის თავზე, მედალიონში წარმოდგენილია მაცხოვრის ნახევარფიგურა, მის ორსავე მხარეს — მოციქულთა ფიგურები (სურ. 11)[39]. მათგან ორი, მარჯვენა, ზაქარიასა და ამბაკუმის დარად, გაწვდილი

---

[36] Paris; Bibl. Nat., MSgr 74, fol 107: H. A. Omont, Evangiles avec peintures Byzantines 5 (Paris, 1908) pl. 95; E. Kantorowicz, დასახ. ნაშრ. გვ. 145.

[37] Vat. gr. 1927, fol. 285; E. De Wald, The Illustrations in the Manuscripts of the Septuangit, III; Psalms and odes, part 1 Vaticans graecus 1927 (Princeton, 1941)), Pl. L XXI.

[38] М. Щепкина. Миниатюы Хлудовской Псалтыри, Греческий иллюстрированный кодекс IX века. М., 1977.

[39] Т. Щевякова, დასახ. ნაშრ., გვ. 6.

ხელის მტევნით ორიენტირებულია მაცხოვრისაკენ, რომელიც კომპოზიციური და აზრობრივი ღერძია გამოსახულებისა, რაც თუნდაც, მოციქულთა ჟესტითაა ხაზგასმული[40]. საგულისხმოა ტ. შევიაკოვას ვარაუდი ამ კომპოზიციის სხვა სცენათაგან იზოლირების შესახებ, რაც გვაფიქრებინებს, რომ იგი გარკვეული სიმბოლიკის მატარებელი უნდა ყოფილიყო. თუ ამ

---

[40] ამ ძეგლთან დაკავშირებით ·ხ. Z. Skhirtladze, The Mandilion in Mediaeval Georgian Literature and Art. Sixteenth Anual Byzantine Studies Conference, Baltimore Maryland, October 26—28, 1990 მოხსენებათა თეზისებით გვ. 33 და ქ. მიქელაძე, „ხელთუქმნელი ხატის გამოსახულება XII—XIII საუკუნეების ქართულ კედლის მხატვრობაში". („ლიტერატურა და ხელოვნება", 3, 1991). სადაც ჯვარპატიოსნისეული მაცხოვარი განიხილება, როგორც „ხელთუქმნელი ხატი", „პირი ღვთისა", „მანდილიონი", რაც არის „უცვალებელი სახე მაცხოვრის განკაცებისა", მისი ხილული მხარე. უნდა ითქვას, რომ ეს მოსაზრება გარკვეულწილად უკავშირდება ჩვენს ვარაუდს, რამდენადაც ორივე მათგანს საერთო თეოლოგიური წანამძღვრები აქვს — ესაა „საიდუმლო დაფარული" მაცხოვრის განკაცებისა, რომლის ერთ-ერთ სიმბოლურ სახედ Oriens-იც გაიაზრება; ამის დასტურია ბიზანტიური იკონოგრაფიული ტიპი ე. წ. „ელაქერნის ღვთისმშობლისა", რომლის მკერდზე მედალიონში (მზის დისკოში) გამოსახული მაცხოვარი, მეცნიერთა განმარტებით, არის ხატი განსხეულებული ღმრთისა (A. Grabar, L'iconoclasme Byzantin, Pariz, 1957, გვ. 254) ღვთისმშობწიაღიდან „მზე სიმართლისად"ამოსული (E. Kantovowicz დასახ. ნაშრ. გვ. 147). მაცხოვრის „მზე სიმართლისად" განსხეულების მომენტი ფართოდ აისახა აღმოსავლეთის ეკლესიის ლიტურგიაში, კერძოდ, ღვთისმშობლისადმი მიძღვნილ ჰიმნებში: „კარვად სამეუფოდ გამოჩნდი, ღმრთისმშობელო, რამეთუ შენგან გამობრწყინდა სიმართლისა მზეი, მხსნელი და მაცხოვარი სულთა ჩუენთაი" („უძველესი იადგარი"). მაცხოვრის ბიუსტი მედალიონში ხატთაყვანისმცემელთა ინსიგნიად იქცა (ამადაც მუსრავენ ხატმებრძოლნი მახვილით მაცხოვრის ამ გამოსახულებას ერთ-ერთ ბერძნულ მინიატურაზე), — ესაა „ღმრთისა საჩინო სახე, დიდი ესე და ყოველად მბრწყინვალე და მარადის მნათობი მზე" (დიონისე არეოპაგელი), ან „პირი მისი, ვითარცა მზეი ბრწყინავს ძალითა მისითა" გამოცხ. 1,16. ვფიქრობთ, თელოვანის მაცხოვრის იკონოგრაფიული გააზრება საკითხთა ამ წრეს უნდა უკავშირდებოდეს და ამდენად, თავისთავად მნიშვნელოვანი ისტორიული რეალია ანტონ მარტყოფელის მიერ საქართველოში ჩამოტანილი კეცზე აღბეჭდილი ხელთუქმნელი ხატის შესახებ, ჩვენი აზრით, ვერ გამოდგება თეოლოვანის მაცხოვრის კეცის მსგავს წრიული ფორმის ჩარჩოს სახით მანდილიონის იკონოგრაფიული განსახოვნების არგუმენტად.

სიმბოლიკას საღმრთო წერილისეულ „აღმოსავალს“, მზე-ქრისტეს დავუკავშირებთ, მაშინ ამ მოსაზრების საარგუმენ-ტაციოდ იკვეთება რამდენიმე მომენტი: მაცხოვარი მედა-ლიონში წარმოდგენილია ეკლესიის აღმოსავლეთ მხარეს, აფ-სიდის სარკმლის (ცის კამარის) თავზე, რაც ლოგიკურია ამ შინაარსის მქონე გამოსახულებისათვის. გარდა ზემოაღწე-რილ მინიატურებთან სახეობრივი ანალოგიისა, ნიშანდობ-ლივია მათი ერთ ქრონოლოგიურ ჯგუფში, IX—XI სს. ხატ-მებრძოლობის შემდგომ პერიოდში მოქცევა. მედალიონს შემოსაზღვრავს შავი ზოლით გარშემოვლებული წითელი ფერის წრე, რომელიც კომპოზიციის საერთო ფერწერულ ტონალობაში დომინანტად აღიქმება. საზოგადოდ, წითელი ფერი სამეცნიერო ლიტერატურაში მიჩნეულია სინათლის, უფრო ზუსტად, კოსმიური ნათლის სიმბოლოდ[41].

---

41 ეს მოსაზრება სხვადასხვა ქვემოთ მოხმობილ წყაროებზე დაყრ-დნობით არგუმენტირებულია კარლ ლეჰმანის ნაშრომში „ზეციურ გუმ-ბათი“ (Karl Lehman, The Dome of Heaven, the Art Bulletin, 1945, № 27, 1—27)— ავტორი, განიხილავს რა ზეციური კამარის უძველეს ნიმუშს ძვ. წ. V ს. ეტრუსკული სამარხიდან, აღნიშნავს, რომ კესონის კუთხეებში დიაგონალურად განლაგებულ ოთხ სირინოზზე დაყრდნობილი ბორდიუ-რიანი დისკოს (სქემატური თუ იდეური თვალსაზრისით, როგორც ქვემოთ ვნახავთ, აკურის კომპოზიციის შორეული წინასახე) წითელი ფერი სი-ნათლის სიმბოლოა: D. Wunderlich, Die Bedeutung der roten Farbe, Giessen, 1925, pp 96b; სან მარკოს ტაძრის პირველ გუმბათში ნათლის ბნელისაგან გამოყოფის სცენაში სინათლის სფერო ინტენსიური წითე-ლია, ბნელის — მოლურჯო-მომწვანო: A. Gayet, L'art Byzantin, I, Paris. 1901, pl. 22. ბიზანტიურ ხელოვნებაში ვარსკვლავები წითელი გულით ზოგჯერ წარმოგვიდგენენ სინათლის ემანაციის წყაროს Ibid II, qL 19, ცნობილ ესაიას ლოცვაში პარიზის ფსალმუნიდან ღამის საბურველი ლურჯია, ხოლო ზეცა, რომლიდანაც ღმერთის ხელი გამოდის — ღია წითელი: E. Omont, Miniatures des plus anciens manuscrifts grecs, Paris, 1929, pl. 12; პლინიუსის აღწერით, წითელი არის ზეცის ფერი (Nat. Hist. XIX 6); ამავე წყაროებს იმოწმებს ე. პრივალოვა ქარ-თული ძეგლების — ატენის, ბოჭორმის, ვარძიის, ტიმოთესუბნის „ზეციუ-რი სფეროს“ წითელი ფერის სიმბოლური ენის გააზრებისას: Е. Привалова, Роспись Тимотесубани, Тб., 1980, с. 173.

გარდა ამ ძეგლისა, აკურას მაცხოვარს უახლოესი შინაარსობრივი პარალელი მოეძებნება წირქოლის (ქართლი, ქსნის ხეობა) IX ს. ეკლესიის ნართექსის დასავლეთთ შესასვლელი კარის თავზე, სადაც ბორბლის ცენტრში[42] წარმოდგენილი წრიული ფორმის სქემატურად გამოსახული თავი ადამიანისა, ჩვენი ვარაუდით, ასევე სოლარულ ნიშანთან დაკავშირებული მაცხოვრის სახეა, ქრისტე-ჰელიოსია[43] (სურ. 12). მოხატულობა არქიტექტურის თანადროულია. ნიშანდობლივია, რომ ამ გამოსახულებაშიაც ჭარბობს წითელი ფერი.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე მიგვაჩნია, რომ აკურას ბაზილიკის აღმოსავლეთ ფასადზე ქრისტეს გამოსახულება მზის სხივებით დისკოში clipeus-ში იკონოგრაფიულად მზე-ქრისტეს, ქრისტე-ჰელიოსის, ქრისტე-აღმოსავლის მნიშვნელობას იძენს და მისი სიმბოლიკა ჯერ კიდევ ქრისტიანობამდელი რელიგიურ-ფილოსოფიური აზროვნების წიაღში ჰპოვებს დასაბამს.

●

საკითხის სრული სახით გაანალიზება ბუნებრივია, გულისხმობს ოთხი გამოსახულების (შარავანდიანი თავები) რაობის დადგენასაც.

ასევე აღსანიშნავია, რომ ქრისტიანულ ღვთისმეტყველებაში ღვთაების სიმბოლოს — სამპიროვანი მზის ერთ-ერთი ჰიპოსტასია სინათლე „დისკო მზისა — მატერია, სინათლე და სითბო) — კ. კეკელიძე, ეტიუდები. ტ. II, 1981, გვ. 192.

42 მზისა და ბორბლის საყოველთაოდ ცნობილი კავშირების შესახებ ამჯერად მკითხველის ყურადღებას არ შევაჩერებთ (იხ. ვ. ბარდაველიძის შრომები); Encyclopedic Dictionary of the Bible (London, 1963, p. 2359) განმარტავს: „მზე სამართლის ღვთაებაა, უზენაესი მართლმსაჯულია, რომელიც ყველას სამართლიანად მიუზღავს ცოდვა-მადლს თავის მთავარ ტაძარში—ē – babbar-ში),რასაც შუმერულად „ამომავალი მზის სახლი" ჰქვია); შდრ. ē – babbar სვანურ მზის ღვთაება ქალ-ბაბარს.

43 მზე-ქრისტეს ყოველთის არა აქვს სპეციფიკურად „აღმოსავლის", Oriens-ის მნიშვნელობა, E. Kantorowicz დასახ. ნაშრ., გვ. 145.

როგორც აღვნიშნეთ, პარიზის XI ს. Melothesia-ს მინიატურაზე მედალიონში წარმოდგენილი ნახევარფიგურები განასახიერებენ წელიწადის დროებს. მათგან აკურას გამოსახულებების რიგი სახეობრივი განსხვავებების მიუხედავად, ორივე ძეგლის საერთო კომპოზიციური ხასიათი მიგვანიშნებს მათ გარკვეულ იკონოგრაფიულ სიახლოვეზე.

პარიზის მინიატურაზე წელიწადის დროებს — ქამებს[44] ხელში დროთა შესაბამისი ატრიბუტებით მედალიონში გამოსახული ნახევარფიგურები წარმოგვიდგენენ, აკურაში მხოლოდ შარავანდიანი თავებია; კონცენტრული წრის დიაგონალზე განლაგებული ოთხი გამოსახულება ორივე შემთხვევაში უკავშირდება ქრისტე-ჰელიოსს.

რომში, წმ. პეტრეს ბაზილიკის ქვეშ, იულიუსის მავზოლეუმის გვერდით, გაითხარა კიდევ ერთი ძეგლი, ფანიას მავზოლეუმის სახელით ცნობილი. იგი ძვ. წ. II ს. თარიღდება. მავზოლეუმის თაღზე ხუთი მედალიონია, ცენტრში — ოთხრაშიან ეტლში გამოსახულია ჰელიოსი, რომელიც, მეცნიერთა აზრით, იგივე ქრისტეს ფიგურაა[45], ხოლო დანარჩენ ოთხ მედალიონში — ქამნი (სურ. 14).

ქამთა სიმბოლური გამოსახულებების ისტორია არქაული პერიოდიდან იღებს სათავეს. ისინი გვხვდება არა მარტო რომაულ სარკოფაგებსა და დასაკრძალ საკურთხევლებზე, არამედ ტაძართა კედლებზე, იატაკზე, პლაფონზე. ძირითადი სქემა მათი გამოსახვისა შემდეგია: ცენტრალური მედალიონი (Imago Olipeata) მიცვალებულის, ან იმპერატორის ბიუსტით და ირგვლივ ოთხი მედალიონი ქამთა პერსონიფიცირებული გამოსახულებებით. ბერძნულ-რომაული ხელოვნების ნიმუშების მიმოხილვა ცხადჰყოფს, რომ ქამთა იკონოგრაფია არ იყო მკაცრად კანონიზებული და შესაბამისად, მათი

---

44 მიზანშეწონილად მივიჩნევთ წელიწადის დროთა ბიბლიისეული სახელწოდებით — „ქამნი" მოხსენიებას („და თქუა ღმერთმან იქმენ მნათობნი სამყაროსა შინა ცისასა მნათობად ქუეყანასა გასაყოფელად შორის დღისა და შორის ღამისა და იყუნედ სასწაულებად დღეებად და ქამებად და წელიწადებად". (დაბად. 1, 14).

45 J. Toynbee, J. Perkins, დასახ. ნაშრ., გვ. 42.

პოზა და ატრიბუტებიც, არ ატარებდნენ დოგმატურ ხასიათს[46]. ისინი შეიძლება წარმოდგენილნი ყოფილიყვნენ იდეალიზირებული ქალების, ყმაწვილების, გლეხების, მონადირეების, მწყემსების — ჩვეულებრივი ცხოვრებისეული პერსონაჟების სახით. მათ ადგილს უმეტეს შემთხვევაში იკავებს მითოლოგიურ ჰორათა გამოსახულება.

ასევე მეტად მრავალფეროვანია ოთხი ჟამის იკონოგრაფიული ვარიანტები ქრისტიანული ხანის ხელოვნებაში. მათი ფართო მიმოხილვა ამჯერად სცილდება ჩვენი წერილის მიზანს, მხოლოდ აკურასთან ტიპოლოგიურად ახლო მდგომ ძეგლებზე გავამახვილებთ ყურადღებას.

როგორც გ. ჰანფმანი აღნიშნავს, ბიზანტიურმა ხელოვნებამ საკუთარს გამოსახვა კონცენტრული წრისა და ოთხ ჟამის სახით ანტიური სქემიდან მცირედი სახეცვლილებით შეითვისა[47].

ანტიური ხანიდან ჟამებს როგორც ქალთა, ასევე მამაკაცთა ფიგურები წარმოგვიდგენენ, თუმცა არც თუ იშვიათია მათი გამოსახვა ანგელოზთა სახით — როგორიცაა ჟამთა გამოსახულებები ადრიანეს ვილა და სან ვიტალეს პრესბიტერიუმიდან[48] (ეს უკანანასკნელი მართლმადიდებლური ტაძრის ბემის შესატყვისია).

სამყაროსა და დროის იუდაისტური სოლარული სისტემა ჟამებს ფრთოსან ანგელოზთა სახით წარმოგვიდგენს (გვიანანტიკური ხანის მოზაიკა ბეთ-ალფადან.), რომელიც სახეობრივ მსგავსებას ავლენს ჟამთა ქრისტიანულ ფრთოსან ანგელოზთან, რაც მოწმობს მოვლენათა საყოველთაობას, მას, რომ სხვადასხვა რელიგიებისა თუ დროის ხელოვნებაში ამ ორ სუბიექტს-ანგელოზებსა და ჟამებს ერთნაირი, უნივერსალური ფორმით წარმოისახავდნენ, რამდენადაც მათ კოსმიური სიმბოლოს მნიშვნელობა ჰქონდათ.

რაც შეეხება შარავანდს, ის, როგორც ჟამთა იკონოგრაფიული ატრიბუტი წინაქრისტიანულ ხანაში საკმაოდ იშვია-

---

[46] G. Hanfman, დასახ. ნაშრ., თავი VI.

[47] G. Hanfman, დასახ. ნაშრ., გვ. 264.

[48] Karl Lehman. The Dome of Heaven, 7f, 15f., Figs 10 და 45.

თად გვხვდება, ხოლო ქრისტიანულ ძეგლებზე, გარდა ზემოაღნიშნულ „Melothesia-სი (სადაც შარავანდს მედალიონი ცვლის), იგი გვაქვს „Divine Election"-ის სახელით ცნობილ მინიატურაზე Notita Dignitatum-იდან, სადაც მედალიონით შემოსაზღვრული ქამთა შარავანდიანი ნახევარფიგურები განლაგებულია არა კონცენტრული წრის, არამედ მართკუთხა, აკლდამისებური სტრუქტურის მქონე გამოსახულების კუთხეებში (სურ. 14), მინიატურა IX ს-ით თარიღდება, თუმცა მისი თავდაპირველი ნიმუში, მკვლევართა მოსაზრებით, IV ს-ზე გვიანდელი არ უნდა იყოს[49].

საცნაურია, რომ ყოველთვის უცვლელი იყო ქამთა რიცხვი — ოთხი, რომლის სიმბოლიკა უძველესი დროიდან მომდინარეობს — სამყაროს კოსმიური წესრიგი ოთხი რიცხვის კონფიგურაციას ეფუძნებოდა. ჯერ კიდევ პითაგორელები ოთხი რიცხვის (tetraktus) მსახურნი და თაყვანისმცემელნი იყვნენ, მიიჩნევდნენ რა მას „წყაროდ და ფუძედ" მარადიული ბუნებისა". ქამნი შედარებულია ადამიანის სიცოცხლის ოთხ ეტაპთან ძველ პითაგორულ პოემაში „ოთხი"[50]. მზის ოთხი ტროპიკული წერტილი, რომლებიც წელიწადის ოთხ დროს შეესაბამებიან, დიდ როლს თამაშობდა ასტროლოგიაში — ამ დარგში ცოდნის დაგროვებამ (V—IV სს.) განაპირობა ქამთა ტეტრადული სისტემის შემუშავება ფილოსოფოსთა და მეცნიერთა თხზულებებში.

როგორც ფ. კიუმონი აღნიშნავს, აღმოსავლურმა, კერძოდ, ეგვიპტურმა რელიგიამ შეიმუშავა სისტემა მზისა და ქამთა შესახებ, რომელიც შემდგომ ცნობილი გახდა ბერძნულ-რომაული სამყაროსათვის[51]. ეგვიპტელთათვის მზე-ღვთაების სიცოცხლის ფაზები — ბავშვობა, ყრმობა, მოწიფულობა და სიბერე შეესატყვისებოდა წელიწადის ოთხ დროს — ქამს.

ელინისტური ხანის სტოიკურმა თეოლოგიამ ჰელიოსი ზევსის ტოლფასად მიიჩნია, რომელიც, ისევე როგორც ნებისმიერი ოლიმპიელი, ხდება განსახიერება უზენაესი ღვთაებისა. პლუტარქე აღნიშნავს, რომ ჰელიოსი განაგებს სამყაროს

---

[49] G, Hanfman, დასახ. ნაშრ. გვ. 266.

[50] G. Hanfman, დასახ. ნაშრ. გვ. 73.

[51] F. Cumont. დასახ. ნაშრ. გვ. 73.

ესრიგს და მართავს წელიწადის დროებს — შესაბამისად, ძველ სამყაროში ასტროლოგიური რუქები, დროის კალენდარი წარმოისახებოდა კონცენტრულ რადიალურ სხივებიან წრეში წარმოდგენილი ჰელიოსით და მასთან დიაგონალურად დაკავშირებული ოთხი ქამით.

ნეოპლატონიზმი ხედავს ჰელიოსში (მზეში) ხილულ გამოსახულებას უზენაესი ღვთაებრივი არსებისას. მათი სოლარული ნააზრევი გარკვეულ გავლენას ახდენდა გვიან წარმართობაზე. მაკრობიუსის აღნიშვნით, ძირითადი მიზანი ნეოპლატონური ფილოსოფიისა არის იმის ჩვენება, რომ მზე არის წინამძღოლი და მომწესრიგებელი კოსმოსისა, სამყაროსი, და რომ ყველა ღმერთი სხვადასხვა მიმართებაშია მის სხვადასხვა ასპექტთან — მზის, ჰელიოსის ადგილს იკავებს ზევსი, დიონისე, აპოლონი, ატისი, ადონისი, მითრა[52]. მის ადგილს იკავებს მოგვიანებით, ქრისტე.

ქრისტიანობის გავრცელებასთან ერთად თანდათან იკვეთება ქამთა ქრისტიანული სიმბოლიზმი. იგი ეფუძნება იმ მოსაზრებას, რომ ყოველი ეპიზოდი საღმრთო წერილისა შეიცავს ფარულ ჭეშმარიტებას ქრისტიანულ სარწმუნოებასა თუ დოგმაზე და რამდენადაც ქამნი რამდენიმეჯერაა ნახსენები. ბიბლიასა და მოციქულთა წიგნებში, ბუნებრივია, ისინი იძენენ ახალ სიმბოლიზმს თითოეული ეპიზოდის ინდივიდუალური ინტერპრეტაციისას.

ქრისტიანობის გავრცელების პროცესში ნათლად ვლინდება უმთავრესი — ხდება სამყაროსა და დროის სოლარული სისტემის ადაპტაცია ქრისტიანულ მოძღვრებაზე — იკონოგრაფიაში ჩნდება რამდენიმე ქრისტიანული ელემენტი, როგორიცაა სამოთხის ოთხი მდინარე (V ს. მოზაიკა ტეგეადან), შემდგომ, ცენტრალურ ფიგურას ენაცვლება ქრისტეს პრეფიგურაცია (როგორც ჩანს, ამ მნიშვნელობითაა წარმოდგენილი შუასაუკუნეების რამდენიმე ეკლესიის მოზაი-

---

52 მითრასა და ქრისტეს ურთიერთმიმართების შესახებ იხ. კ. კეკელიძე („ქრისტიანობა და მითრაიზმი") ეტიუდები, ტ. II, 1945, სადაც ავტორი ახდენს ქრისტიანული და მითრაისტული თეოლოგიის, მორალისა და კულტის შედარებას და ხაზს უსვამს მათ სიახლოვეს.

ქებში ანუსი — წელიწადი)[53] ხდება მითოლოგიურ ფიგურათა. და ცენტრალური გამოსახულების ტრანსფორმირება ქრისტიანული სარწმუნოების შესაბამისად, რამდენადაც წარმართული სამყარო, კოსმოსი, ქრისტიანულმა კრეაციონიზმმა შეცვალა. ფსალმუნის სიტყვები „შენ შეჰქმენ ყოველნი საზღუარნი ქუეყანისანი, შენ დაჰბადე ზაფხული და არე" (73:17) ეკლესიის მამათა მიერ ქრისტესთან მიმართებით იყო გააზრებული) — გავიხსენოთ მაცხოვრის კოსმოკრატორული სიტყვები მათეს სახარებიდან, ან „...წმიდაო ღმერთო, რომელმან დააფუძნე ქუეყანაი წყალთა ზედა და ან: ცანი, ვითარცა კამარანი, მოსდრიკენ" [უძველესი იადგარი, შობაი, გვ. 21].

ნიშანდობლივია, რომ ოთხი ჟამის წარმართული სისტემა არ ყოფილა უარყოფილი ეკლესიის მამათა მიერ, ისევე როგორც კვირის დღეთა წარმართულ ღვთაებებიდან წარმოშობილი სახელები. არგუმენტი, რომელმაც რეალურად სასიცოცხლო მნიშვნელობა შეიძინა, იყო უძველესი რწმენა სამყაროს სრულყოფილობის შესახებ, რასაც, სხვასთან ერთად, ჟამთა წესრიგიც მოწმობდა. იგი შეესატყვისებოდა ძველ იუდაისტურ რწმენას ღმერთის ჟამზე (დროის ასპექტით) ძალმოსილების შესახებ: „სამყაროში იმდენად უტყუარად ცხადდება ღვთაებრივი წესრიგი, რომ მასში ჭეშმარიტად უნდა ერიოს ღმერთი"[54]. ეს ღმერთი ქრისტეანთათვის არის ქრისტე, რომლის სახეშიც გადადის ჟამთა სიმბოლიზმი: მზის შობა 25 დეკემბერს, ზამთრის ნაბუნიობისას, მოგვაგონებს ქრისტეს შობას, გაზაფხულის მოსვლა — მის აღდგომას, შემოდგომა - მის მსხვერპლშეწირვას და სხვა. ქრისტიან ინტერპრეტატორთა განმარტებით (რომელთა განსაკუთრებული აქტიურობა IV ს-დან იწყება), ზამთარი არის დრო სიკვდილისა, გაზაფხულის საპირისპიროდ , რომელიცაა დრო აღორძინებისა — ახალმოქცეულნი ემსგავსებიან გაზაფხულს, მგზნებარე მორწმუნენი — ზაფხულს, შემოდგომის რთველი არის სიმბოლო ქრისტეანთა მოწამეობისა და სხვა. ტერტულიანეს აზრით,

---

53. G. Hanfman, დასახ. ნაშრ., გვ. 264; K. Lehman, დასახ. ნაშრ., გვ. 18.

54. G. Hanfman, დასახ. ნაშრ., გვ. 192.

ღმერთმა სამყარო შექმნა, როგორც წინასახე ადამიანის აღდგომისა: „მთავრდება წელიწადის დრონი და კვლავ ხელახლა იწყება; მთელი მოძრავი სამყარო არის მტკიცება მკვდრის აღდგომისა".

საღმრთო წერილის მიხედვით მიეცა აგრეთვე ახსნა ოთხი რიცხვის სიმბოლიკას. ფილონმა ნეოპითაგორული ტეტრადული სისტემა შეუსაბამა ძველი აღთქმის ინტერპრეტაციას. მისთვის ძველი აღთქმა ნარატიული ისტორიაა, სიმყაროს ტეტრადული სისტემა კი — მარადიული ჭეშმარიტება. ფილონი და სხვა ქრისტიანი ინტერპრეტატორები წელიწადის ოთხ დროს, ელემენტებს (ჰაერი, წყალი, ცეცხლი, მიწა) დედამიწის ოთხ მხარეს. მზის ოთხრაშიან ეტლს უპირისპირებდნენ საპოთხის ოთხ მდინარეს, ანგელოზთა ძალებს, აპოკალიფსურ ცხოველებს.

თვალი გავადევნოთ ამ მოვლენის იკონოგრაფიული განსახოვნებას „ზეციური სფეროს" წარმართულ და ქრისტიანულ ნიმუშებზე:

ზემოთ მოხმობილი (შენ. 41) ეტრუსკული სამარხი Chiusi-დან წარმოგვიდგენს ზეციური კამარის უძველესი ინტერპრეტაციას — ესაა ბორდიურიანი წითელი დისკო დიაგონალურად განთავსებული ოთხი ციური ფრინველით — სირინოზით;

აკურას მზე — უფალი ქრისტე clipeus-ში ასევე დიაგონალურად წარმოდგენილი ოთხი ჟამით და ქრისტიანულ საკულტო ნაგებობათა თეოლოგიური პროგრამის კულმინაციური თემა: გუმბათში, ვარსკვლავებიან ცაზე (clipeus-ში) გამოსახული ქრისტე-პანტოკრატორი (ყოვლისმპყრობელი), ხოლო პანდანტივებზე ოთხი მახარებელი (ან მათი სიმბოლო-აპოკალიფსური ცხოველები) — წინარე კომპოზიციათა წმინდა ქრისტიანული ფორმადქმნა.

აკურას „მამა დავითი" ილარიონ ქართველმა აღაშენა 855 წელს, IX ს. მეორე ნახევარი კი, როგორც ცნობილია, აღმოხავლეთ საქრისტიანოში საეკლესიო მხატვრობის ახალი სისტემის, ახალი იკონოგრაფიული პროგრამის ფორმირების ხანა[56], რაც ამყარებს ჩვენს მოსაზრებას მასზედ, რომ აკურას ბაზილი-

---

[56] Б. Лазарев, დასახ. ნაშრ., გვ. 62.

კის აღმოსავლეთ ფასადზე წარმოდგენილი კომპოზიცია ტო-
გორც იდეური, ასევე სტრუქტურულ-იკონოგრაფიული თვალ-
საზრისით ქრისტიანული გუმბათის ზეციური სფეროს იკო-
ნოგრაფიული სქემის წინასახეა, წარმართულიდან მასზე გარ-
დამავალი საფეხურია.

ამ გამოსახულების ანალოგს ქართული ხელოვნების ძე-
გლთა შორის ჩვენ არ ვიცნობთ. სრულიად განსაკუთრებული
მნიშვნელობის მქონე ამ ძეგლში, ჩვენი აზრით, აისახა შუა-
საუკუნეების ქრისტიანული კოსმოგონიური მსოფლმხედვე-
ლობა, ზეციური სამყაროს ჭვრეტა ფიზიკური თუ ტრანსცენ-
დენტური ასპექტით — როცა ნათლის მეუფე მზე-ქრისტე ფი-
ზიკური, მორალური თუ სულიერი ნათლის წყაროა, ხოლო
უდამ მოძრავი წელიწადის დრონი — ქრისტეანთა მარადიუ-
ლი ცხოვრების სიმბოლო.